



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი



ბრძანება № 1-797

მ-7 მისიძე

13 მაისი
" " " 2016 წ.

ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი #34-ში, 101-ე სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.03.042.126), სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მეხამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 161-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 166-ე მუხლის მე-3 ნაწილის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე მუხლის და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს 2016 წლის 5 მაისის სხდომის №24 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

- ქ. თბილისში, ალ.ყაზბეგის გამზირი #34-ში, #101-ე სკოლის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: #01.14.03.042.126), განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს: კ2=2,6საშ.
- სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისთვის მოსაკრებელი გადახდები იქნეს „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 12²-ე მუხლისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 12.12.2014 წლის №7-49 დადგენილების შესაბამისად ქ. თბილისის ბიუჯეტში გადასახდელი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის გაცემისთვის გახსნილ ანგარიშზე, მიმღების დასახელება: ქ. თბილისის მერია, მიმღების ბანკი: „სს ლიბერთი ბანკი“. ც/გ. ბანკის კოდი: LBRTGE22 ა/ანგარიში: GE86LB0125152101629490. 20208 ლარი.
- დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.
- კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.
- წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

